



Interreg

NEXT Black Sea Basin

Impact+

IMPACT+
BSB00001

ბუნებრივი კატასტროფებისთვის მზდყოვნის სახელმძღვანელო

შავი ზღვის აუზის რეგიონის მცირე თემებში სტიქიურ და
ტექნოგენურ კატასტროფებით გამოწვეულ საგანგებო
სიტუაციებზე რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება





შინაარსი

წინასიტყვაობა	2
ზოგადი წესები	3
სასარგებლო ინფორმაცია	4
განგაშის სიგნალები	4
გადაუღებელი დახმარების ერთიან ნომერზე – 112-ზე დარეკვა	5
ჩანთა სიცოცხლის გადასარჩენად საჭირო ნივთებით	6
გადამღები ინფექციური დაავადებების პრევენცია	7
ჰიპოთერმიასთან ბრძოლა	7
კატასტროფის შედეგად დაზარალებული ადამიანების მიმართ ჰუმანური მოპყრობა და სოლიდარობა	8
რომელი კატასტროფები ახდენენ ჩვენზე უარყოფით ზემოქმედებას?	9
მიწისძვრა	15
მეწყერი	18
ხანძარი	21
ძლიერი სიცხე	23
ქარიშხალი და ძლიერი თოვა	25
კატასტროფის შემდგომი სტრესი	27
რუმინეთის წითელი ჯვრის ცენტრალური და რაიონული საწყობების რუკა	29
რუმინეთის წითელი ჯვრის საზოგადოების მანდატი	30
ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების ეროვნული სტრატეგია	32
ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო	33
ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების ეროვნული სტრუქტურა	34
რუმინეთის წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოების რეაგირების შესაძლებლობები	36



წინასიტყვაობა

ბუნებრივი კატასტროფები ყოველწლიურად ათასობით ადამიანს აყენებს ზიანს. თითოეული ბუნებრივი კატასტროფა გრძელვადიან უარყოფით ზემოქმედებას ახდენს როგორც ადამიანებზე, ასევე მათ მატერიალურ ქონებაზე. ბუნებრივი კატასტროფა შეიძლება ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას მოხდეს და ნებისმიერ ადამიანზე იმოქმედოს.

კატასტროფების მიერ მიყენებული ზიანი, გამოხატული ადამიანების სიცოცხლითა და მატერიალური ზარალით, უზარმაზარია, ხოლო მათი უარყოფითი ზემოქმედება დაზარალებული რეგიონების ეკონომიკაზე - მნიშვნელოვანი. დანაკარგებისა და ზარალის ნახევარზე მეტი გამოწვეულია კლიმატისა და გარემოს ცვლილებების შედეგად გაძლიერებული წყალდიდობებით, ქარიშხლებით, გვალვებით, რასაც ადამიანის საქმიანობა, მოსახლეობის ზრდა და ადამიანის მიერ მაღალი რისკის მქონე ტერიტორიების ათვისება უწყობს ხელს.

ადამიანებმა და ადგილობრივმა თემებმა უნდა იცოდნენ, როგორ მოიქცნენ კატასტროფის შემთხვევაში. ამ გზით ისინი შეამცირებენ და, ცალკეულ შემთხვევებში, თავიდანაც კი აიცილებენ კატასტროფების უარყოფით ზემოქმედებას. ადგილობრივი ხელისუფლების იმ ორგანოებსა და უწყებებს, რომლებიც კატასტროფების დროს ადამიანებს ეხმარებიან, გაძლიერება სჭირდებათ. ამავდროულად, მოქალაქეებსაც უნდა ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა იმისა, თუ როგორ მოიქცნენ და იმოქმედონ საგანგებო სიტუაციებში. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უკეთ იციან, თუ რა სჭირდება ადგილობრივ მოსახლეობას, როგორ დააკმაყოფილონ ადამიანების მოთხოვნები და, შესაბამისად, მათი საქმიანობა უფრო

ეფექტიანია. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ორგანიზაციებმა საკუთარი ძალების კონცენტრირება შეიძლება ისეთ ადგილებში მოახდინონ, სადაც მაღალია რისკის დონე, სოციალური კონტექსტი მგრძნობიარეა, ან აუცილებელია რეაგირების განსაკუთრებული ზომები, ამიტომ, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იმოქმედოს საკუთარი თავის გადასარჩენად და ოჯახის წევრების, მეზობლებისა და თანამოქალაქეების დასახმარებლად. ჩვენ ამ ყველაფრის მეტ-ნაკლებად წარმატებით გაკეთება შეგვიძლია, თუ ჩვენ, იმ საზოგადოებასთან ერთად, რომლის წევრებიც ვართ, მოსალოდნელი კატასტროფებისათვის წინასწარ მოვემზადებით. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რა სახის საფრთხეებია მოსალოდნელი იმ ტერიტორიაზე, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, როგორ უნდა დავიცვათ საკუთარი თავი და ჩვენ ირგვლივ მყოფი ადამიანები, როგორ გავარჩიოთ განგაშის სიგნალები და რა უნდა გავაკეთოთ ასეთ დროს, ვიცოდეთ მოსახლეობის ევაკუაციის გეგმები, შეკრების ადგილები, კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების წესები და როგორ უნდა შევიტანოთ საკუთარი წვლილი კატასტროფის დასრულების შემდეგ ტერიტორიის აღდგენაში.

კატასტროფის დადგომამდე ერთი ნაბიჯით წინ ყოფნაც უაღრესად მნიშვნელოვანია. ამიტომ რუმინეთის წითელმა ჯვარმა კატასტროფებისთვის მზადყოფნა, როგორც ეროვნულ, ასევე მისი ტერიტორიული სტრუქტურების - წითელი ჯვრის სამხარეო ფილიალების დონეზე, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა.



ზოგადი წესები

-)/ შეისწავლეთ განგაშის სიგნალები და მოიქეცით შესაბამისად;
-)/ შეინარჩუნეთ სიმშვიდე და გაამხნევეთ თქვენ გარშემო მყოფი ადამიანები;
-)/ მოისმინეთ რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით მოწოდებული ინფორმაცია და შეტყობინებები;
-)/ დარწმუნდით, რომ სახლში ან საოჯახო მეურნეობაში გაქვთ საკვების მარაგი, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში გეყოფათ;
-)/ ევაკუაციის შემთხვევაში თან იქონიეთ საკვების მარაგი და არ დაგავიწყდეთ დოკუმენტები და მედიკამენტები;
-)/ დაიცავით საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მიერ გაცემული მითითებები და ქცევის წესები;
-)/ საჭიროების შემთხვევაში მოითხოვეთ საკვები, ტანსაცმელი და სამედიცინო დახმარება;
-)/ რეაგირების ძალებს არ შეუშალოთ ხელი საკუთარი სამუშაოს შესრულებაში, მოერიდეთ კატასტროფის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიას. შემოთავაზების შემთხვევაში, საკუთარი ნებით მიიღეთ მონაწილეობა დახმარების ღონისძიებებში;
-)/ მაქსიმალურად მოერიდეთ ტელეფონით საუბარს იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს საგანგებო ზარების მიღება;
-)/ ნუ დაუჯერებთ და გაავრცელებთ ჭორებს.



სასარგებლო ინფორმაცია

განგაშის სიგნალები

განგაშის სიგნალები	ხანგრძლივობა	მნიშვნელობა
წინასწარი გაფრთხილება	3 სიგნალი, თითოეული 32 წმ ხანგრძლივობის, მათ შორის 15 წამიანი ინტერვალებით	მოსახლეობის წინასწარ გაფრთხილება ბუნებრივი კატასტროფის საფრთხის შესახებ
საგანგებო სიტუაციის სიგნალი	5 სიგნალი, თითოეული 16 წმ ხანგრძლივობის, მათ შორის 10 წამიანი ინტერვალებით	მოსახლეობის გაფრთხილება ბუნებრივი კატასტროფის შესახებ
საგანგებო სიტუაციის დასრულების სიგნალი	უწყვეტი ხმა, იმავე ინტენსივობით, 2 წუთის ხანგრძლივობის	მოსახლეობის ინფორმირება საფრთხის დასრულების შესახებ



გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერზე – 112-ზე დარეკვა

საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროფესიული ძალების გამოსაძახებლად შეგვიძლია დავრეკოთ გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერზე -112-ზე:

- / **ვინ რეკავს:** ადამიანი ასახელებს საკუთარ სახელსა და გვარს;
- / **საიდან რეკავს:** ასახელებს მისამართსა და ტელეფონის ნომერს;
- / **რა მოხდა:** უბედური შემთხვევის ტიპი (ხანძარი, გულის ან სუნთქვის გაჩერება, ავტოსაგზაო შემთხვევა და ა.შ.);
- / **სად:** ადგილი, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა (მისამართი - ქალაქი, ქუჩა, ნომერი);
- / **დაზარალებული ადამიანები:** დახმარების საჭიროების მქონე ადამიანების რაოდენობა;
- / **მოთხოვნილი დახმარების ტიპი:** მიუთითეთ, საჭიროა თუ არა სპეციალური აღჭურვილობა;
- / **რა შეიძლება გაკეთდეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე:** მიიღეთ საჭირო რეკომენდაციები, დაზარალებულს გაუწიეთ პირველადი დახმარება;
- / **გამოძახების მიღების დადასტურება:** იმ პირის სახელი, გვარი და თანამდებობა, რომელმაც გამოძახება მიიღო;
- / **გამოძახების ავთენტურობის დადასტურება:** გამოძახების ავთენტურობის გადასამოწმებლად, ზარის დასრულების შემდეგ ოპერატორს შეუძლია დაურეკოს იმ პირს, რომელმაც 112-ზე დარეკა.



ჩანთა სიცოცხლის გადასარჩენად საჭირო ნივთებით

წყალი: 3.5 ლიტრი

მინიმუმ ერთი დღის საკვები: კონსერვები, შოკოლადი, ენერგეტიკული ბატონები და ა.შ.

ფანარი სათადარიგო ბატარეებით

რადიომიმღები სათადარიგო ბატარეებით

ტელეფონი სათადარიგო გარე კვების
წყაროთი

პირველადი დახმარების სრული მინი
ნაკრები

სასტუმრო, ჯიბის დანა

პირადი მოხმარების მედიკამენტები,
პირბადეები

პირადი ჰიგიენის ნივთები


ტანსაცმელი

ფული

ჩანთის მოცულობა არ უნდა იყოს დიდი. მასში მხოლოდ ოჯახის თითოეული წევრისთვის აუცილებელი ნივთები უნდა იყოს. ის კატასტროფის დაწყებამდე უნდა მომზადდეს.

განსაკუთრებული ყურადღება ბავშვებს, სპეციალური საჭიროების მქონე პირებს და ხანდაზმულებს უნდა მიექცეს.

იქონიეთ მხოლოდ პირადი მოხმარების მედიკამენტები და არ მისცეთ სხვა ადამიანებს. წამლების დანიშვნა მხოლოდ ექიმს შეუძლია.



გადამდები ინფექციური დაავადებების პრევენცია

პირადი და კოლექტიური ჰიგიენის მკაცრი წესების გათვალისწინება და დაცვა, აგრეთვე ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების რისკების აღმოფხვრა კატასტროფით გამოწვეული საგანგებო სიტუაციის დროსაც აუცილებელია. პრევენციულმა ზომებმა შეიძლება დაგვიცვას ვირუსებისა და მიკრობების გავრცელებისგან და თავიდან აგვაცილოს დაავადებები.

პრევენციული ზომებია:


-)/ პირბადის ტარება,
-)/ საკვების კარგად გარეცხვა,
-)/ ხელების ხშირი დაბანა და ჩვენ მიერ გამოყენებული ნივთების ზედაპირების პერიოდული ან საჭიროებისამებრ გაწმენდა და დეზინფექცია,
-)/ მხოლოდ უსაფრთხო წყაროებიდან მიღებული საკვებისა და წყლის გამოყენება,
-)/ რეკომენდაციის შემთხვევაში ვაქცინაციის ჩატარება,
-)/ გარკვეულ მდგომარეობაში სათანადო ყურადღების გამოჩენა, სამედიცინო დახმარების მიღება სიცხის, ლებინების და დიარეის შემთხვევაში.
-)/ ცხოველების გვამების არსებობის შესახებ ხელისუფლების ორგანოების ინფორმირება და სპეციალიზებული დანაყოფების მიერ მათი სასწრაფოდ გატანა გაუვნებელყოფის მიზნით.

ჰიპოთერმიასთან ბრძოლა

რეაგირების ოპერაციების ჩატარების ან ევაკუაციის დროს, ცივმა, ქარიანმა პირობებმა და ნესტიანმა ან თუნდაც სველმა ტანსაცმელმა, შესაძლოა, ადამიანების გადაციება, ან სხეულის ნაწილების მოყინვა გამოიწვიოს, რის შედეგადაც სხეულის ტემპერატურა 36°C -ზე დაბლა ეცემა და ჰიპოთერმია იწყება.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები დაუყოვნებლივ უნდა იქნან გადაყვანილი თბილ ადგილას. სხეულის დათბობა თანდათანობით უნდა მოხდეს. მათ უნდა გამოვუცვალოთ სველი ტანსაცმელი, დავაფაროთ საბანი და თბილი უალკოჰოლო სასმელები მივცეთ.

მოყინვის შემთხვევაში აუცილებელია სიფრთხილე ტრავმების თავიდან ასაცილებლად და ექიმის კონსულტაცია.



კატასტროფის შედეგად დაზარალებული ადამიანების მიმართ ჰუმანური მოპყრობა და სოლიდარობა

უბრალო ჰუმანური აქტი იმ ადამიანების მხრიდან, რომლებსაც კატასტროფა არ შეეხო, დაზარალებულებს ანუგეშებს და უსაფრთხოებისა და ღირსების შეგრძნებას უბრუნებს. ტრაგედიის დასაწყისში, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების ადგილზე მოსვლამდე, სოლიდარობის ეს ჟესტები, რომლებიც თავშესაფრის შეთავაზებაში, თბილი საკვების, წყლისა და მშრალი და სუფთა ტანსაცმლის მიწოდებაში გამოიხატება, დაზარალებულებს ერთგვარ შეებას აძლევს.

ოპერატიული დახმარება ასევე შეიძლება განხორციელდეს წითელი ჯვრის მოხალისეების მეშვეობით, რომლებიც წითელი ჯვრის ადგილობრივი, რაიონული და ცენტრალური საწყობებიდან საკვებსა და პირველადი დახმარების ნივთებს არიგებენ. დაზარალებული ადამიანების მორალური მხარდაჭერისა და მათთვის იმედის მიცემის თვალსაზრისით საგანგებო სიტუაციების დროს წითელი ჯვრის მოხალისეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. კატასტროფის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანი, როგორც წესი, შეშინებული, დათრგუნული, დეზორიენტირებული და აღელვებულია.

დაზარალებულებს სჭირდებათ გაგება, თანაგრძნობა, გამხნეება, სოლიდარობა და მხარდაჭერა რესურსების მობილიზებაში. ჰუმანიტარული დახმარება შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, იმ დრომდე, სანამ დაზარალებული ტერიტორია არ აღდგება და მოსახლეობა ნორმალურ ცხოვრებას არ დაუბრუნდება.



რომელი კატასტროფები ახდენენ ჩვენზე უარყოფით ზემოქმედებას? წყალდიდობები

წყალდიდობა ბუნებრივ კატასტროფებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი და დამანგრეველი მოვლენაა. ძლიერმა და ხანგრძლივმა წვიმებმა მდინარეებზე ან დადაბლებულ ადგილებში (ხეობები, ხევები, ჭაობები), შესაძლოა, წყლის მძლავრი ნაკადების წარმოქმნა გამოიწვიოს. გარდა ამისა, კაშხლებიან წყალსაცავებში დიდი რაოდენობის წყლის დაგროვებამ შეიძლება კაშხლების დანგრევის საფრთხე შექმნას. ბუნებრივი კალაპოტებიდან გადმოსულ წყალს დიდი რაოდენობით ნიადაგი, ქვა, ხის მასალა, მცენარეული ნარჩენები და საყოფაცხოვრებო ნაგავი მოაქვს. ეს აძლიერებს წყალდიდობების დამანგრეველ ზემოქმედებას მოსახლეობაზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანების და შინაური და გარეული ცხოველების ცხოვრებაზეც კი.

როგორ უნდა მოიქცეთ წყალდიდობის დროს?

-) ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით გაარკვიეთ, მდებარეობს თუ არა თქვენი სახლი წყალდიდობის რისკის ზონაში და როგორ შეგიძლიათ მისგან თავის დაცვა.
-) ნუ ააშენებთ სახლს ყველა საჭირო ნებართვის გარეშე, რომელთაგან თითოეულს გადამწვევტი მნიშვნელობა აქვს.
-) შეისწავლეთ და დაიმახსოვრეთ წყალდიდობის შესახებ გამაფრთხილებელი სიგნალები და დაუყოვნებლივ იმოქმედეთ.

-) თავად მოუარეთ საკუთარი სახლისა და მიმდებარე ტერიტორიის წყალარინების სისტემებს და მცენარეული და საყოფაცხოვრებო ნარჩენები სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში განათავსეთ.
-) ამოავსეთ სახლის საძირკველსა და კედლებზე არსებული ბზარები, სახლში წყლის შეღწევისა და მისი სტრუქტურული მთლიანობის თავიდან ასაცილებლად გამოიყენეთ ჰიდროსაიზოლაციო მასალები.
-) ასწავლეთ ბავშვებს გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის, 112-ის გამოყენება.
-) ესაუბრეთ ოჯახის წევრებს მოსალოდნელი წყალდიდობის შესახებ და განსაზღვრეთ შეხვედრის ადგილი იმ შემთხვევებისთვის, თუ ერთმანეთს ჩამოშორდებით და სახლში დაბრუნებას ვერ შეძლებთ.
-) შეისწავლეთ ევაკუაციის მარშრუტები და ოჯახთან ერთად განსაზღვრეთ წყალდიდობის შემთხვევაში შემადგენელ ადგილზე მისასვლელი გზები.
-) გაარკვიეთ, როგორ დაეხმარებით ცალკე მცხოვრებ ოჯახის წევრებს, აგრეთვე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მეზობლებს, რომლებსაც წყალდიდობის დროს დახმარება დასჭირდებათ.
-) მოიმარაგეთ, სულ მცირე, 3 დღისთვის საკმარისი საკვები და სასმელი წყალი და პერიოდულად შეავსეთ.
-) თან იქონიეთ მნიშვნელოვანი საბუთები და პირადი ნივთები (ისწავლეთ წყლის, გაზის, ელექტროენერგიის გამორთვა).
-) ააგეთ წინაღობა, რომელიც სახლს წყლის ნაკადისგან დაიცავს.





როგორ უნდა მოიქცეთ წყალდიდობის დროს?

-) მიაქციეთ ყურადღება მოსალოდნელი წყალდიდობის შესახებ რადიო ან ტელევიზიის საშუალებით გადმოცემულ გაფრთხილებებს.
-) დახურეთ კარები, ფანჯრები და სვენიტილაციო ხვრელები სახლში წყლის შეღწევის თავიდან ასაცილებლად ან შესაფერხებლად.
-) ელექტროტრავმების ან აფეთქების თავიდან ასაცილებლად, გამორთეთ ელექტროენერგია და გაზი.
-) ცხოველები სახლიდან დაცულ ადგილას გაიყვანეთ.
-) გაფრთხილების შემთხვევაში გადაინაცვლეთ შემადლებულ ადგილზე.
-) ოჯახის წევრებთან ერთად დაუყოვნებლივ მოემზადეთ ევაკუაციისთვის, ევაკუაციისთვის დადგენილი თანმიმდევრობით: ბავშვები, მოხუცები, ავადმყოფები. არ დაგავიწყდეთ პირველადი დახმარების ნაკრები. უყურადღებოდ არ დატოვოთ ოჯახის წევრები. თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.
-) არ შეხვიდეთ დამდგარ წყალში 15 სმ სიღრმის გუბემ შეიძლება წონასწორობა დაგაკარგვინოთ.
-) თუ მანქანით დატბორილ გზაზე მოხვდით, შემოებრუნდით და გზა სხვა მარშრუტით გააგრძელეთ. თუ დატბორილ გზაზე აღმოჩნდით, სადაც წყლის სიღრმე დაახლოებით 50 სმ-ია, დაუყოვნებლივ გადმოდით მანქანიდან და შემადლებული ადგილი მოძებნეთ.


-) მოერიდეთ ზედაპირული წყლის ნაკადებს. მათთან შეხების ადგილი ჩამოიბანეთ. ხელები საპნითა და წყლით დაიბანეთ.
-) არ მიაკითხოთ ბავშვებს სკოლიდან სახლში წამოსაყვანად, სკოლა თავად იზრუნებს მათზე.
-) ნაკლებად ისაუბრეთ პირადი ტელეფონით იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს საგანგებო ზარების მიღება.
-) მასშტაბური წყალდიდობების პროგნოზირება ხშირად ადიდებული მდინარეებისა და მათ მიერ ჩამოტანილი მასალების სპეციფიკური ხმაურით არის შესაძლებელი.
-) კაშხლის დაზიანების შემთხვევაში, სწრაფად გადადით უახლოეს შემადლებულ ადგილზე.
-) განსაკუთრებით ფრთხილად იყავით ღამით, როდესაც წყალდიდობის საფრთხის ამოცნობა რთულია.
-) მოერიდეთ ელექტროსადენებს და ქსელში შეერთებულ დატბორილ საყოფაცხოვრებო ტექნიკას.
-) უფრთხილდით სახლებში შეფარებულ უცხო ცხოველებს.
-) შეინარჩუნეთ სიმშვიდე და დაელოდეთ რეაგირების ძალებს.



როგორ უნდა მოიქცეთ წყალდიდობის დასრულების შემდეგ?

-) სახლში დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ საფრთხის გავლის შემდეგ და მხოლოდ რეაგირების ძალების თანხმობით.
-) შეამოწმეთ, შევიდა თუ არა სახლში წყალი, მიაღდა თუ არა ზიანი სახლის სამირკველს და კედლებს. თუ სახლში ჩამონგრეულია, არ შეხვიდეთ და ოჯახის წევრებიც გააფრთხილეთ.
-) მოერიდეთ ზედაპირულ ჩამონადენს, რომელიც შეიძლება დაბინძურებული იყოს. არ გამოიყენოთ ის ტანსაცმლის გასარეცხად, საჭმლის მოსამზადებლად ან დასალევად.
-) არ მიიღოთ წყალთან შეხებაში მყოფი საკვები, დაკონსერვებულიც კი.

-) წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემიდან აღებული წყალი გამოყენებამდე აადუღეთ, სანამ ხელისუფლება არ გამოაცხადებს, რომ ის სასმელად ვარგისია.
-) არ შეეხოთ გაწყვეტილ ელექტროსადენებს. მათ შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ ელექტროენერგიის კომპანიას. სახლში ელექტროენერგიის მიწოდება აღდგება ავტორიზებული ელექტრიკოსის მიერ სისტემის სრულად შემოწმების შემდეგ.
-) ოჯახის რომელიმე წევრის გაუწყლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.
-) სახლში სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას გამოიყენეთ ისეთი მასალები და მეთოდები, რომლებიც მომავალი წყალდიდობისგან დაგიცავენ.
-) ნებაყოფლობით მიიღეთ მონაწილეობა თქვენი რაიონის აღდგენაში.







მიწისძვრა

მიწისძვრა არის დედამიწის მოულოდნელი ვიბრაცია, რომელიც მასში არსებული ტექტონიკური ფილების რღვევითა და მოძრაობით არის გამოწვეული. მიწისძვრები შეიძლება მოულოდნელად, გაფრთხილების გარეშე და დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოხდეს.

როგორ შეგიძლიათ მოემზადოთ მიწისძვრისთვის?

-) იმ შენობებში, სადაც ყოველდღიურად იმყოფებით (სახლი, სამსახური, სკოლა) დაადგინეთ უსაფრთხო ადგილები, როგორიცაა კოჭი, შიდა საყრდენი კედელი, კედლებზე მიმაგრებული მასიური ავეჯი.
-) მოცულობითი ან მძიმე საგნები იატაკთან რაც შეიძლება ახლოს, ქვედა თაროებზე მოათავსეთ.
-) გაზის მოწყობილობები, წყლის გამაცხელებლები და განათების საშუალებები მყარად მიამაგრეთ კედლებზე.
-) მძიმე საგნები (ნახატები, სარკეები) მოათავსეთ ისეთი ადგილებიდან მოშორებით, სადაც სკამები, სავარძლები ან დივნები დგას.
-) ივარჯიშეთ თავშესაფრის მოძებნაში იმ შენობებში, სადაც რეგულარულად იმყოფებით, გამოავლინეთ შენობის სუსტი წერტილები და ევაკუაციისთვის უსაფრთხო ადგილები შეარჩიეთ.
-) შეამოწმეთ და საჭიროების შემთხვევაში შეაკეთეთ: დაზიანებული სადენები, ბზარები ჭერში ან საძირკველში.
-) გაარკვიეთ, საიდან ირთვება გაზი, ელექტროენერგია და წყალმომარაგება.
-) სახლის აშენებამდე, შეისწავლეთ მიწისძვრებთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი სტანდარტები.
-) დააზღვიეთ თქვენი სახლი მიწისძვრებისგან.
-) მოამზადეთ და უსაფრთხო და ხელმისაწვდომ ადგილას შეინახეთ პირველადო დახმარების ნაკრები და აუცილებელი ნივთები 3 დღის მარაგით.



როგორ უნდა მოიქცეთ მიწისძვრის დროს?

ა) თუ მიწისძვრის დროს შენობაში იმყოფებით:

არ დატოვოთ შენობა, დაჯექით იატაკზე, ფანჯრებისგან მოშორებით, კედლის ძირში, უსაფრთხო და დაცულ კუთხეში:

თავი შეაფარეთ მყარ მაგიდას, საყრდენ ძელს;

თუ მრავალსართულიან შენობაში იმყოფებით, მიწისძვრის დროს არ ასარგებლოთ კიბით ან ლიფტით;

მიწისძვრის შეწყვეტის შემდეგ შენობაში კიდევ 15 წუთი დარჩით. შესაძლებელია, ბიძგები გამოვრდეს;

ბ) თუ მიწისძვრის დროს გარეთ იმყოფებით:

მოშორდით შენობებს, ბოძებს, ხეებს, ელექტროგადამცემ ხაზებს და დაწექით მიწაზე უსაფრთხო ადგილას;

თუ მიწისძვრას იგრძნობთ სატრანსპორტო საშუალებაში ყოფნისას, დაუყოვნებლივ გააჩერეთ მანქანა მარჯვენა მხარეს, ელექტროგადამცემი ხაზებისგან, შენობებისგან, ბილიკებისგან, ხიდებისგან მოშორებით. გადმოდით მანქანიდან და დაჯექით მის გვერდით;

თუ მთიან რეგიონში იმყოფებით, იყავით ფრთხილად მეწყრისა და ქვათაცვენისგან თავის დასაცავად.



როგორ უნდა მოიქცეთ მიწისძვრის შემდეგ?

-) ყურადღება მიაქციეთ მიწისძვრის განმეორებითი ბიძგებს და იყავით მზად. მიუხედავად იმისა, რომ ისინი, როგორც წესი, ნაკლებად სიმძლავრისაა ზოგიერთი განმეორებითი ბიძგი შეიძლება იმდენად ძლიერი იყოს, რომ დამატებითი ზიანი გამოიწვიოს;
-) შეამოწმეთ, ხართ თუ არა დაშავებული და მიიღეთ პირველადი დახმარების ზომები. პირველადი დახმარება გაუწიეთ თქვენ გარშემო მყოფ ადამიანებს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უსაფრთხოა;
-) არ შეხვიდეთ დაზიანებულ სახლში. დაელოდეთ რეაგირების სპეციალიზებული ძალების მოსვლას;
-) შეამოწმეთ, აქვს თუ არა სახლს რაიმე დაზიანება. თუ შესაძლებელია, დაეხმარეთ სახლში მყოფ ადამიანებს გარეთ გასვლაში;
-) აფეთქებებისა და ხანძრის თავიდან ასაცილებლად არ გამოიყენოთ ღია ცეცხლი;
-) ხანძრის ჩაქრობა ადრეულ სტადიაზე შესაძლებელია, რადგან მიწისძვრის შემდეგ ხანძარი ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს;
-) მოერიდეთ დაზარალებულ ტერიტორიებს და უფრთხილდით გაწყვეტილ ელექტროგადამცემ ხაზებს და დაზიანებულ გაზის მილებს;
-) თავი შეიკავეთ ნათესავების მონახულებისაგან გზებზე საცობების შექმნის თავიდან ასაცილებლად;
-) დაეხმარეთ დაუცველ ადამიანებს: ბავშვებს, მოხუცებს, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს;
-) შემოთავაზების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღეთ ნანგრევებისგან გასუფთავებაში, დაეხმარეთ მშენებლებს;
-) ნუ შეუწყობთ ხელს ჭორების, ყალბი ამბების გავრცელებას, პანიკის, შიშისა და არეულობის დათესვას.



მეწყერი

მეწყერი არის დიდი ან მცირე რაოდენობის ქანების, ტალახისა და ნიადაგის მოწყვეტა მთის ფერდობზე და სხვადასხვა სიჩქარითა და მანძილით გადაადგილება. მეწყერი წარმოიქმნება ნიადაგში წყლის სწრაფად დაგროვების შედეგად, ძლიერი წვიმების, თოვლის უეცარი დნობის ან წყალდიდობის დროს. მეწყერი შეიძლება გამოიწვიოს ძლიერმა ქარიშხალმა, მიწისძვრამ, ვულკანის ამოფრქვევამ, ტყეების გაჩეხვამ, მდინარეების კალაპოტების შეცვლამ და ადამიანის საქმიანობამ. მეწყერს შეუძლია დიდი რაოდენობის ხეების, მცენარეულობის, შენობების, ტექნიკის, მანქანების, წყლით გაჯერებული მასალების გადაადგილება და ძალიან მოკლე დროში ზვავივით ჩამოწოლა.

როგორ უნდა მოიქცეთ მეწყერის ჩამოწოლამდე?

-)/ მეწყერის საფრთხის შესახებ ინფორმაციის მიღება ხელისუფლებისგან შეგიძლიათ;
-)/ სახლის აშენებამდე გაიარეთ კონსულტაცია ურბანული დაგეგმარების სპეციალისტთან ან გეოლოგთან;
-)/ ყურადღება მიაქციეთ რელიეფის მცირე ცვლილებებსაც კი;
-)/ ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ არ მოხდეს გარკვეულ ადგილებში წვიმის წყლის დაგროვება;
-)/ დააკვირდით ნიშნებს, რომლებიც რომლებიც მეწყერის არსებობაზე მიუთითებენ, მაგალითად:
 - o სახლის კარებისა და ფანჯრების ჩაკეტვა
 - o კედლების ძირში და სახლის საძირკველში ბზარების გაჩენა,
 - o გარე კედლების შენობიდან ოდნავ დაცილება
 - o ნელა მზარდი ბზარები მიწაზე, ბილიკებზე, მოასფალტებულ ადგილებში
 - o მიწისქვეშა კომუნიკაციების გაუმართაობა
 - o მთის ფერდობის ძირში არათანაბარი ზედაპირი
 - o ოდნავ დახრილი ღობეები, კედლები, სვეტები, ხეები
 - o გრუნტის ჯდენა
 - o ფერდობზე ჩამოცურებული ნიადაგი
-)/ ამ ნიშნების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ ადგილობრივ ხელისუფლებას საჭირო ზომების მისაღებად.
-)/ განსაზღვრეთ ის ადგილები, სადაც მეწყერის ჩამოწოლის შემთხვევაში გადახვალთ: ფერდობებისგან მოშორებით მდებარე მოსწორებული ადგილები, ტერიტორიები, სადაც მეწყერი არასდროს მომხდარა.



როგორ უნდა მოიქცეთ მეწყრის დროს?

-) თვალყური ადევნეთ ამინდის პროგნოზს და ხელისუფლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას;
-) ვითარების გაუარესების შემთხვევაში მთელ ოჯახთან ერთად დატოვეთ სახლი, თუ ამას ხელისუფლება მოითხოვს;
-) თუ ევაკუაცია აუცილებელი არ არის, გადადით სახლის იმ ნაწილში, რომელიც მეწყრისგან დაცულია და ყურადღება მიაქციეთ ძლიერი წვიმის, მიწის მოძრაობის შედეგად წარმოქმნილ, ხეების მტვრევისა და ქვების ხმას;
-) თუ მდინარესთან ახლოს ხართ, დააკვირდით წყლის დონის ცვლილებას, აგრეთვე თავად წყალს (მღვრიე, გამჭვირვალე);
-) თუ მანქანით მოძრაობთ, მოერიდეთ ტალახით, ჩამოცვენილი ქვებითა და ისეთი სხვა მასალით დაფარულ გზებს, რომლებიც შესაძლო მეწყერზე მიუთითებენ.

როგორ უნდა მოიქცეთ მეწყრის შემდეგ?

-) ახალი მეწყრის საშიშროების გათვალისწინებით, არ შეხვიდეთ დამეწყრილ ტერიტორიაზე ხელისუფლების თანხმობის გარეშე;
-) რეაგირების ძალებს აცნობეთ მსხვერპლის (დაშავებული, ჩარჩენილი ადამიანები) და კომუნალური ქსელების (წყალი, გაზი, ელექტრო ქსელები) დაზიანების შესახებ. ამ გზით თავიდან აიცილებთ სხვა კატასტროფებსა და ავარიებს;
-) დაეხმარეთ იმ ადამიანებს, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ;
-) სახლში დაბრუნების შემდეგ შეამოწმეთ შენობის საძირკველი, კედლები და მიმდებარე ტერიტორია;
-) ნიადაგის სტაბილიზაციისთვის დამეწყრილი ადგილი რაც შეიძლება მალე გაამწვანეთ. მეწყრების რისკის შეფასების პროფესიონალი დაგეხმარებათ ისეთი საუკეთესო მეთოდების შერჩევაში, რომლებიც მომავალი საფრთხეებისგან დაგიცავთ.





ხანძარი

ხანძარს შეუძლია სახლი სულ რამდენიმე წუთში გაანადგუროს. ხანძრის საფრთხის გამოვლენა და აღმოფხვრა საკუთარი თავის და თქვენი სახლის დაცვის ყველაზე ეფექტიანი გზაა. ხანძარმა შეიძლება გამოიწვიოს საყოფაცხოვრებო უბედური შემთხვევები, ტექნოლოგიური ავარიები, ცეცხლის უკონტროლოდ გავრცელება და ელექტროენერგიის სისტემების გაუმართაობა.

როგორ უნდა მოიქცეთ ხანძრის წინ?

-) სახლის ელექტროგაყვანილობის მოწყობისას დაუშვებელია იმპროვიზაცია;
-) გამოიყენეთ გათბობისა და საკვების მომზადების უსაფრთხო, სერტიფიცირებული მოწყობილობები, მათი კომპონენტების ცვლილების გარეშე;
-) სახლში დაამონტაჟეთ გაზის და კვამლის დეტექტორები და პერიოდულად შეამოწმეთ მათი გამართულობა. არასოდეს გამორთოთ ისინი;
-) არ შეინახოთ ხე და სხვა აალებადი მასალები სითბოს წყაროებთან ახლოს;
-) სახლისთვის შეიძინეთ, სულ მცირე, ერთი ცეცხლმაქრი და ოჯახის წევრებს მისი გამოყენება ასწავლეთ;
-) სამზარეულოში, საჭმლის მომზადებისას, აალებადი მასალები ქურას და ღუმელს მოარიდეთ;
-) ესაუბრეთ ბავშვებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზომებზე, ცეცხლის წყაროებსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე;
-) ოჯახის წევრებს გააცანით ხანძრის შემთხვევაში ევაკუაციის გეგმა;
-) ჩაატარეთ შენობიდან თვალახვეული და ხოხვით ევაკუაციის სავარჯიშო. გახსოვდეთ, რომ ადამიანი, რომლის ტანსაცმელსაც ცეცხლი უკიდია, უნდა დაჯდეს, დაწვეს და რამდენჯერმე გადაბრუნდეს;
-) ზეთით სავსე ქვაბში გაჩენილი ცეცხლი წყლით არ ჩააქროთ. ცეცხლის ჩასაქრობად თავსახური დაახურეთ;
-) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით თქვენს ადგილობრივ სახანძრო სამსახურს.



როგორ უნდა მოიქცეთ ხანძრის დროს?

-)/ დაუყოვნებლივ და უსაფრთხოდ დატოვეთ ხანძრის ადგილი და გადით სუფთა ჰაერზე;
-)/ ხანძრის შესახებ 112-ზე შეატყობინეთ;
-)/ ევაკუაციის დროს, კვამლის დონეზე დაბლა იცოცეთ. თუ კარი ან კარის სახელური ცხელია, მოძებნეთ სხვა გასასვლელი
-)/ კვამლისა და აირების შესუნთქვის თავიდან ასაცილებლად ცხვირ-პირი პირსახოცით დაიფარეთ;
-)/ ხანძრის გავრცელების შესაფერხებლად, ყველა იმ ოთახის კარი დახურეთ, რომელსაც ტოვებთ;
-)/ არ გააღოთ ფანჯრები, თუ კარის ქვეშ პირსახოცები ან ტანსაცმელი არ გაქვთ დადებული იმისათვის, რომ ცეცხლს ჟანგბადი არ მიეწოდოს;
-)/ გამოიყენეთ პორტატიული ცეცხლმაქრი, თუ ხანძარი მცირე ფართობზეა და არ ვრცელდება, ოთახი კვამლით არ არის სავსე და იქ ხალხი არ არის.

როგორ უნდა მოიქცეთ ხანძრის შემდეგ?

-)/ მოერიდეთ ცეცხლმოკიდებულ შენობებს;
-)/ საჭიროების შემთხვევაში, პირველადი დახმარების გაწევა. დახმარება დაზარალებულების გადაყვანაში;
-)/ ხანძრის ტერიტორიაზე ზომების მიღება მხოლოდ ხელისუფლების ნებართვით;
-)/ არ გამოიყენოთ საკვები, რომელიც ცეცხლის ან კვამლის ზემოქმედების ქვეშ მოექცა;
-)/ თუ ქონება და სახლი დაზღვეულია, სპეციალისტების მიერ ხანძრის ფაქტის დადგენის შემდეგ, დაუკავშირდით სადაზღვევო აგენტს;
-)/ აღადგინეთ შენობა, მას შემდეგ, რაც სპეციალისტები ხანძრის მიერ შენობის სტრუქტურულ სიმტკიცეზე მიყენებულ ზიანს შეამოწმებენ.




ძლიერი სიცხე

უკანასკნელ წლებში, კლიმატის მნიშვნელოვანი ცვლილებების გამო, ტემპერატურისა და ტენიანობის მაჩვენებლები წლიდან წლამდე იზრდება, რაც ადამიანების ყოველდღიურ საქმიანობასა და ყველა ცოცხალი არსების ქცევაზე უარყოფითად აისახება. მაღალი ტემპერატურის პირობებში მზეზე ხანგრძლივად ყოფნამ, ოფლიანობის გზით სხეულის გაგრილებამ, პერიფერიულმა ვაზოდილატაციამ და ელექტროლიტების დაკარგვამ შეიძლება ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს.

მაგალითად: *სითბური დარტყმა, სითბური გამოფიტვა და გონების დაკარგვა, სითბური კრუნჩხვები, დეჰიდრატაცია, ინსულტი.*

-) გაეცანით ადგილობრივი ამინდის პროგნოზს;
-) ოჯახის წევრებთან ერთად განიხილეთ უსაფრთხოების ზომები ატმოსფერული ტემპერატურის მომატების შემთხვევაში,

- ელექტროენერგიის გათიშვის შესაძლებლობის გათვალისწინებით;
-) მოერიდეთ დღის შუა საათებში მზეზე დიდხანს ყოფნას;
-) შეავსეთ წყლის მარაგები ყოველდღიური მოხმარებისთვის და ორგანიზმში ჭარბი ოფლიანობით გამოწვეული წყლის დისბალანსის კომპენსირებისათვის;
-) თუ კონდიციონერი არ გაქვთ, შეარჩიეთ ზედმეტი სიცხისგან დაცული ადგილები;
-) შეამოწმეთ, სჭირდებათ თუ არა დახმარება მეზობლებს, ბავშვებს, მოზუცებს, ჭარბწონიან ადამიანებს, სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებს;
-) ამ სფეროში საჭირო უნარებისა და ცოდნის მისაღებად შეგიძლიათ გაიაროთ პირველადი დახმარების კურსი;
-) მიაწოდეთ საკმარისი წყალი შინაურ ცხოველებს და დააკვირდით მათ ქცევას.



როგორ უნდა მოიქცეთ სითბური ტალღების დროს?

-) თუ ძლიერი სიცხის დროს მზეზე იმყოფებით, მიიღეთ სითხეები, მაშინაც კი, თუ წყურვილის გრძნობა არ გაწუხებთ;
-) ჭამეთ ხშირად და მცირე ულუფებით;
-) ჩაიცვით თავისუფალი, ღია ფერის ტანსაცმელი და გადადით ჩრდილიან, გრილ ადგილას;
-) მოერიდეთ ინტენსიურ ფიზიკურ დატვირთვას დღის ყველაზე ცხელ პერიოდში;
-) არ ივარჯიშოთ და არ შეასრულოთ ინტენსიური სამუშაოები;
-) იმ შემთხვევაში, თუ ძლიერი სიცხის პერიოდებში საქმიანობის თავიდან აცილება შეუძლებელია, იმუშავეთ გუნდურად და არა დამოუკიდებლად;
-) ყურადღებით იყავით ახლობელი, მარტოხელა ადამიანების მიმართ, რომლებიც სიცხის მიმართ მგრძნობიარე არიან;
-) გაუწიეთ პირველადი დახმარება სითბური ტალღების უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებს.

სერიოზულად დაზარალებული ადამიანებისთვის გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადა, მუდმივად შეამოწმეთ მათი მდგომარეობა და ბრიგადის მოსვლამდე შეუწარჩუნეთ მათ სასიცოცხლო ფუნქციები. ყურადღება მიაქციეთ შინაურ ცხოველებს.

როგორ უნდა მოიქცეთ სითბური ტალღების გადავლის შემდეგ?

-) ჯანმრთელობაზე სითბური ტალღების ზემოქმედებას სერიოზულად მიუდევით;

გაიარეთ პირველადი დახმარების საბაზისო კურსი და პერიოდულად განაახლეთ თქვენი ცოდნა ამ სფეროში.



კანის გაწითლება სწრაფი გულისცემა

გულისრევა

თავის ტკივილი



ქარიშხალი და ძლიერი თოვა

ქარბუქი არის მეტეოროლოგიური მოვლენა, რომელიც ხასიათდება ქარის სიჩქარის უეცარი ზრდით, სულ მცირე, 8 მ/წმ-მდე. მას შეიძლება ჰქონდეთ ქარიშხლის სახე და თან ახლდეს ძლიერი თოვა, ძალიან დაბალი ტემპერატურა, გაყინული წვიმა, თოვლჭყაპი და შეიძლება რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე გაგრძელდეს.

ძლიერმა თოვამ, ქარბუქმა და ყინვამ შეიძლება ელექტროენერგიის გათიშვა, სახმელეთო, სამდინარო და სარკინიგზო გზებზე მოძრაობისა და აეროპორტების მუშაობის შეფერხება გამოიწვიოს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საფრთხე შეუქმნას ადამიანების სიცოცხლეს.

ასეთი მოვლენების დროს, შესაძლოა, მთელი დასახლებები სხვადასხვა დროით მოწყდეს გარე სამყაროს ძირითადი საკვები პროდუქტებისა და კომუნალური მომსახურების გარეშე. სპეციალიზებული ძალებისა და მოხალისეების ჩართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლებში, სადაც სახლები ერთმანეთისგან შორის მდებარეობს და ძირითადად ასაკოვანი ადამიანებით არის დასახლებული.

როგორ უნდა მოიქცეთ ქარბუქამდე?

-) გაეცანით მომდევნო საათის ამინდის პროგნოზს და ყურადღება მიაქციეთ გამაფრთხილებელ სიგნალებს;
-) თუ სავარაუდო სტიქიის ზონაში ცხოვრობთ, დაგეგმეთ სახლიდან ან ქალაქიდან გასვლა;
-) ჩაიცვით დაბალი ტემპერატურისთვის შესაფერისი ტანსაცმელი (მსუბუქი ტანსაცმლის რამდენიმე ფენა, ქუდი, ხელთათმანები თითების გარეშე, წყალგაუმტარი ჩექმები);
-) სითბოს დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, ჩაატარეთ სახლის თბოიზოლაცია;
-) გათბობის მოწყობილობები გამართულ მდგომარეობაში იქონიეთ, ხოლო საკვამურები პერიოდულად შეამოწმეთ და გაწმინდეთ;
-) მოამზადეთ თქვენი მანქანა ზამთრისთვის და გაავსეთ საწვავის ავზი;
-) არ დატოვოთ შინაური ცხოველები გარეთ. შინაური ცხოველები შეჩვეული უნდა იყვნენ სახლის გარემოს და მუდმივად უნდა ჰქონდეთ წვდომა წყალზე;
-) საწვავზე მომუშავე დანადგარები ვენტილირებად სივრცეში განათავსეთ;
-) შეავსეთ საკვების, წყლის, საწვავის მარაგი და პირველადი დახმარების ნაკრები.



როგორ უნდა მოიქცეთ ქარბუქის დროს?

-)/ არ მოხვდეთ ქარბუქში, ძალიან დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში სახლიდან ნუ გახვალთ;
-)/ დაიცავით თქვენი სხეული შესაბამისი ტანსაცმლით;
-)/ საჭიროების შემთხვევაში (გულის წასვლა, ჰიპოთერმია) პირველადი დახმარების გაწევა ახლობელი ადამიანებისათვის;
-)/ ძალიან დაბალი ტემპერატურის დროს ნუ შეასრულებთ ინტენსიურ სამუშაოებს;
-)/ საკუთარი ძალებით ნუ ეცდებით ელექტროდანადგარების დამონტაჟებას.
-)/ გაეცანით გზების მდგომარეობას და მოერიდეთ დიდ თოვლში, ნისლში ან ყინულზე მოძრაობას;
-)/ გაწმინდეთ მიმდებარე ბილიკები თოვლისგან. დაეხმარეთ მეზობლებს, მოხუცებს, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანებს;
-)/ წყლის, გაზის ან ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის ან დაზიანების შემთხვევაში დაუკავშირდით კომუნალური მომსახურების კომპანიებს;
-)/ სახლში ან მანქანაში არ გამოიყენოთ გენერატორები და ბენზინზე, გაზზე ან ნახშირზე მომუშავე სხვა ისეთი მოწყობილობები, რომლებიც ნახშირჟანგს გამოყოფენ. ნახშირჟანგი კლავს;
-)/ საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღეთ ტერიტორიის აღდგენაში, დაეხმარეთ თანამოქალაქეებს.

როგორ უნდა მოიქცეთ ქარბუქის შემდეგ?

-)/ შეამოწმეთ სახლისა და მიშენებების მდგომარეობა;
-)/ დაბალი ტემპერატურის დროს მოერიდეთ მგზავრობას და საზოგადოებრივ ადგილებს;



კატასტროფის შემდგომი სტრესი

სტრესი შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც რეაქცია, რომელიც ჩვენს ტვინში იწყება მაშინ, როდესაც აღმოვჩნდებით ისეთ ვითარებაში, სადაც აუცილებელია გარკვეული სახის მოქმედება.

სტრესულ სიტუაციაში, მაგალითად, კატასტროფის დროს, შეიძლება შემდეგი შეგრძნებები გაგიჩნდეთ:

-) გაღიზიანებადობა, კონფლიქტური სიტუაციებისადმი მიდრეკილება, მათ შორის ახლობლებთან;
-) დაღლილობის, შფოთვის, მარტოობის შეგრძნება;
-) ძლიერი კონცენტრაცია გადაწყვეტილებების მიღებაზე;
-) განწყობის ცვლილებები დასვენებისა და კვების რეჟიმის დაუცველობის შედეგად;
-) ტირილის შეტევები ან სიბრაზის აფეთქებები;
-) ცხელება, თავის ტკივილი, კუჭის ტკივილი;
-) უიმედობის განცდა, ასეთ დროს მოერიდეთ ახლობლებს;

თუ ასეთი მდგომარეობა ორ კვირაზე მეტხანს გაგრძელდა, უნდა მიმართოთ სპეციალისტს - ფსიქოლოგს.

ნათესავებთან, მეგობრებთან და მეზობლებთან ერთად უნდა ვიპოვოთ

საუკეთესო ამ შეგრძნებების დასაძლევად. მაგალითად:

-) დაამყარეთ კავშირი ოჯახის იმ წევრებთან, რომლებიც ევაკუაციის ან გადაადგილების შედეგად სხვა ადგილებში მოხვდნენ. ამისათვის წითელი ჯვრის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართეთ;
-) დაასვენეთ სხეული საჭირო ფიზიკური და ინტელექტუალური ძალის აღსადგენად;
-) დაიცავით დაბალანსებული დიეტა, საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს;
-) გამოჯანმრთელების პერიოდში დასახეთ პრიორიტეტები, საქმეები ეტაპობრივად შეასრულეთ;
-) მოითხოვეთ დახმარება; მიიღეთ დახმარება და თავად დაეხმარეთ სხვებს, შეინარჩუნეთ პოზიტიური განწყობა;
-) მოახდინეთ კონცენტრირება ოჯახის საჭიროებებზე.

სტრესულ მოვლენებთან გამკლავებისას თითოეული ჩვენგანი ბუნებრივ მდგრადობას ავლენს და უმეტეს შემთხვევაში სრულად გამოჯანმრთელებას ახერხებს.



თანამშრომლებისა და მოსახლეობის ტრანსპორტირებისათვის ჩვენ გვაქვს მრავალფეროვანი სატრანსპორტო საშუალებების პარკი, რომელიც შედგება როგორც მცირე და საშუალო ზომის სატრანსპორტო საშუალებებისგან (Dacia Logan, Ford Transit, Iveco Daily), ასევე 10 და 22-ტონიანი სატვირთო მანქანებისგან. ჩვენ ასევე გვყავს მსუბუქი ავტომანქანები და მძიმე ტვირთების გადასაზიდად განკუთვნილი მისაბმელიანი მანქანები, აგრეთვე მასალების ჩატვირთვა-გადმოტვირთვისთვის საჭირო დამხმარე ტექნიკური საშუალებები.

კატასტროფის შემთხვევაში ფინანსური დახმარების აღმოსაჩენად, რუმინეთის წითელი ჯვრის შტაბ-ბინას და მის ფილიალებს თანხების მოთხოვნა რამდენიმე წყაროდან და კატასტროფის მასშტაბის მიხედვით შეუძლიათ: ერთი ფილიალიდან 5000 ლეის ოდენობით, ორგანიზაციის ცენტრალური რეზერვებიდან, აგრეთვე წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციიდან.

რაც შეეხება თანამშრომლებს, წითელი ჯვრის თითოეულ ფილიალს ჰყავს რეაგირების ჯგუფი, რომელიც გაწვრთნილი და გადამზადებული მოხალისეებისგან შედგება. მზადდება და პერიოდულად ახლდება ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების ეროვნული და რეგიონული გეგმები, რომლებიც სახელმწიფო უწყებებს გადაეცემა.



რუმინეთის წითელი ჯვრის ცენტრალური და რაიონული
საწყობების რუკა



რუმინეთის წითელი ჯვრის საზოგადოების მანდატი

რუმინეთის წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი მიზანია, დაეხმაროს დაუცველ ადამიანებს კატასტროფების, სერიოზული საფრთხეებისა და კრიზისული სიტუაციების დროს. საზოგადოების მისიაა მასშტაბური კატასტროფების შემთხვევაში მოსახლეობის მდგომარეობის შემსუბუქება. ამისათვის ის რთავს ხელისუფლების ორგანოებსა და შესაბამის უწყებებს და საგანგებო ვითარების დადგომიდან პირველივე საათებში უზრუნველყოფს პირველად დახმარებას, ჰუმანიტარულ დახმარებასა და კოორდინაციას საკუთარი ბანაკებისა და ტრიაჟის პუნქტების საშუალებით. რუმინეთმა ჟენევის პირველ კონვენციას ხელი 1864 წელს მოაწერა და მისი რატიფიცირება 1874 წელს მოახდინა. ორი წლის შემდეგ, 1876 წლის 4 ივლისს, რუმინეთის წითელი ჯვრის საზოგადოება დაარსდა, რომელმაც მუშაობა ბუქარესტის კოლეცას საავადმყოფოს ბაზაზე დაიწყო.

რუმინეთის წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ კანონი N139/1995-ის მუხლი 1-ისა და მისი წესდების თანახმად, რუმინეთის წითელი ჯვარი არის საჯარო სამართლის დამოუკიდებელი, არასამთავრობო, აპოლიტიკური და არაკომერციული იურიდიული პირი. ის ახორციელებს ჰუმანიტარული ხასიათის საქმიანობას, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების დამხმარე ჰუმანიტარული ორგანიზაცია.

კანონი N524/2004-ის მუხლი 8-ის თანახმად, რუმინეთის წითელი ჯვრის საზოგადოება სარგებლობს სახელმწიფოს მფარველობითა და მხარდაჭერით და, როგორც საზოგადოების საკეთილდღეოდ მოქმედ ორგანიზაციას, უფლება აქვს, მოითხოვოს დახმარება ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოდან, რომლებიც ვალდებული არიან, მას ეს დახმარება გაუწიონ.

რუმინეთის წითელი ჯვრის საზოგადოების პრინციპები და მოვალეობებია (კანონი N139/1995, მუხლი 11):

- ა) იმოქმედოს შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, ხოლო მშვიდობიან დროს დაეხმაროს ხელისუფლების ორგანოებს 1949 წლის ჟენევის კონვენციებით განსაზღვრულ ყველა სფეროში და იმოქმედოს ყველა დაზარალებულის, როგორც მშვიდობიანი მოქალაქეების, ასევე სამხედრო პირების, დასახმარებლად;
 - ბ) დახმარების პროგრამების მეშვეობით ხელი შეუწყოს ადამიანების ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, დაავადებების პრევენციასა და მდგომარეობის გაუმჯობესებას;
 - გ) უზრუნველყოს დაზარალებულთა გადაუდებელი დახმარების სამსახურების ორგანიზება ეროვნულ ან ადგილობრივ დონეზე, კატასტროფების მიზეზებისა და ხასიათის მიუხედავად;
 - დ) ორგანიზება გაუწიოს და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ღონისძიებებში დაზარალებულთა დასახმარებლად, კატასტროფების მიზეზებისა და ხასიათის მიუხედავად;
 - ე) ჰუმანიტარული მისიის შესასრულებლად დადოს თანამშრომლობის ხელშეკრულებები სხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც ჰუმანიტარულ საქმიანობას ახორციელებენ, აგრეთვე სამინისტროებთან და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა სპეციალიზებულ ორგანოებთან და შეიმუშაოს ერთობლივი სამოქმედო პროგრამები;
 - ვ) ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროგრამების საფუძველზე მონაწილეობა მიიღოს სისხლის დონორების მოზიდვაში, ეპიდემიებთან ბრძოლასა და სხვა ღონისძიებებში;
- რუმინეთის წითელი ჯვრის საზოგადოება წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაციის წევრია. ეს არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც კატასტროფების მართვის ფართო ხედვა აქვს და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს განსხვავებულ კონტექსტებში საგანგებო სიტუაციების შედეგების ჰუმანიზაციასა და ოპტიმიზაციას.





ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების ეროვნული სტრატეგია

სტრატეგიის მიღწევის მიზანი

ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების ეროვნული სტრატეგია წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობაზე, ქონებასა და გარემოზე კონკრეტული საფრთხეების ზემოქმედების შემცირების მოწინავე ზომების შემუშავებასა და გატარებას საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე კონკრეტული ქმედებებისა და ღონისძიებების ერთობლიობის დაგეგმვის გზით.

სტრატეგიის შემუშავება განპირობებულია რუმინეთის მოსახლეობის დასახმარებლად ეფექტიანი ზომების მიღების აუცილებლობით.

ბუნებრივი კატასტროფების დროს რუმინეთის წითელი ჯვრის მთავარი მიზანი, რომელიც რუმინეთის ტერიტორიაზე შესაძლო კატასტროფების ანალიზზეა დაფუძნებული, ხელისუფლების ორგანოების დასახმარებლად ერთობლივი და კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფაში მდგომარეობს.

რუმინეთის წითელი ჯვარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კატასტროფების შედეგების შერბილებას პრევენციისა და შესაძლო საფრთხის ქვეშ მყოფი მოსახლეობის მომზადების პროგრამების მეშვეობით. ის ასევე ამზადებს მოხალისეებსა და მოსახლეობას, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც პოტენციური საფრთხე არსებობს. გლობალურმა და ეროვნულმა პრაქტიკამ

აჩვენა, რომ საგანგებო სიტუაციების გამოძწევი მოვლენების თავიდან აცილება ყოველთვის არ არის შესაძლებელი, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვა შესაძლებელია მათი შედეგების შემცირების ისეთი სისტემური პროცესის მეშვეობით, რომელიც ამ მოვლენებთან დაკავშირებული რისკების შემცირებისკენ მიმართული ზომებისა და ქმედებების შემუშავებას ითვალისწინებს. საგანგებო სიტუაციების მართვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ ის ითვალისწინებს კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებულ ყველა შესაძლო საფრთხეს, მოსახლეობას ყველა მოსალოდნელი რისკის შესახებ აფრთხილებს და შესაბამის მითითებებს აძლევს. სტრატეგიის ძირითადი მიზნებია:

I. საგანგებო რეაგირების კონცეფციის ჩამოყალიბება და რეაგირების ოპერატიული გეგმებისა და სტანდარტული პროცედურების შემუშავება.

II. საგანგებო სიტუაციების პრევენციასა და მართვაში დამხმარე ფუნქციის შესასრულებლად საჭირო რესურსების განსაზღვრა და განაწილება;

III. საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მართვისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსებისა და საშუალებების ეფექტიანად განაწილება;

IV. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით ხელისუფლებასა და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში პერსონალის გადამზადება.



ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო

არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, რომლის გაუმჯობესება შესაძლებელია ევროპულ რეგულაციებთან ჰარმონიზაციისა და პრაქტიკის სრულყოფის გზით, მოიცავს შემდეგ კანონებსა და საკანონმდებლო დოკუმენტებს:

-) კანონი 139/1995 რუმინეთის წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოების შესახებ, კანონი 524/2004 და 36/2007-ით შეტანილი შესწორებებითა და დამატებებით
-) კანონი 78/2014 რუმინეთში მოხალისეობრივი საქმიანობის რეგულირების შესახებ
-) გადაწყვეტილება 557/2016 რისკების ტიპების მართვის შესახებ
-) საგანგებო დადგენილება 21/2004 საგანგებო სიტუაციების მართვის ეროვნული სისტემის შესახებ, კანონი 253/2020-ით შეტანილი დამატებებით
-) კანონი 46/2008 – ტყის კოდექსი
-) კანონი 45/1994 რუმინეთის ეროვნული თავდაცვის შესახებ
-) კანონი 107/1996 წყლის შესახებ
-) საგანგებო დადგენილება 195/2005 გარემოს დაცვის შესახებ
-) კანონი 481/2004 სამოქალაქო თავდაცვის შესახებ, კანონი 212/2006-ით შეტანილი შესწორებებითა და დამატებებით
-) ბრძანება 459/2019 „ისეთი საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც იწვევენ წყალდიდობებს, გვალვას, აგრეთვე ავარიებს ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე, მდინარეების წყლის დაბინძურებას და ზღვის დაბინძურებას სანაპირო ზოლში“
-) მთავრობის გადაწყვეტილება 1075/2004 – 2004 წლის დადგენილება მიწისძვრებით და/ან მეწყრით გამოწვეული კატასტროფის შემთხვევაში თავდაცვის გეგმების შემუშავების შესახებ
-) გადაწყვეტილება 762/2008 საგანგებო სიტუაციების პრევენციის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ
-) კანონი 575/2001 ეროვნული სივრცითი გეგმების დამტკიცების შესახებ – ნაწილი V – ბუნებრივი რისკების ზონები
-) ტრანსპორტის, მშენებლობისა და ტურიზმის სამინისტროსა და ადმინისტრაციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ბრძანება 995/1160/2005 მიწისძვრების და/ან მეწყრებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე
-) ადმინისტრაციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანება 1494/2006 საგანგებო სიტუაციებში კატასტროფით დაზარალებულთა ბანაკების ორგანიზებისა და ფუნქციონირების ტექნიკური ნორმების დამტკიცების შესახებ.



ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების ეროვნული სტრუქტურა

საგანგებო სიტუაციების მიმართ ეროვნული მდგრადობის უნარი განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებისა და შესაძლებლობების არსებობით:

- ა) ადგილობრივი თემების მდგრადობა, მათი ჩართულობა და მონაწილეობა;
 - ბ) საგანგებო სიტუაციების პრევენციის ღონისძიებები, მათ შორის მოწყვლადობის შემცირებაზე ორიენტირებული;
 - გ) საგანგებო სიტუაციების მართვის შესაძლებლობები;
 - დ) შედეგების აღმოფხვრის და ნორმალურ მდგომარეობაში სწრაფად დაბრუნების უნარი.
- ამ შესაძლებლობებს შემდეგი სტრუქტურები უზრუნველყოფენ:

შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტრო, მის დაქვემდებარებაში არსებული სპეციალიზებული სტრუქტურების მეშვეობით, უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების სფეროში სტრატეგიებისა და კანონმდებლობის შესრულებას, ასევე სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების პრევენციასა და მართვას.

საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სტრუქტურა, რომელსაც აქვს ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციების პრევენციასა და მართვასთან დაკავშირებული მოქმედებების კოორდინაციის პასუხისმგებლობა. ცხოვრების ნორმალური პირობების აღსადგენად ის საჭირო ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს იყენებს. მის მოვალეობებში ასევე

შედის პირველადი დახმარების გაწევა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების განყოფილებებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა.

საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების გენერალურ ინსპექციას, ავიაციის გენერალურ ინსპექციას, სამედიცინო საგანგებო სიტუაციების მართვის გენერალურ დირექტორატს, სამედიცინო დირექტორატს (შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით), აგრეთვე სამთო სამაშველო სამსახურებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობით.

საგანგებო სიტუაციების გენერალური ინსპექცია

საგანგებო სიტუაციების გენერალური ინსპექცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგანგებო სიტუაციების პრევენციასა და მართვაში და მიზნად საფრთხეების კონტროლს ისახავს. ინსპექციის საქმიანობა, სხვა ფუნქციებთან ერთად, მოიცავს „ხანძრის პრევენციასა და ხანძარზე რეაგირებას, სამაშველო სამსახურების გაგზავნას, პირველადი დახმარების გაწევას, ადამიანების სიცოცხლის გადარჩენას და წყალდიდობებით, მეწყრებით, სეისმური მოვლენებით, ეპიდემიებით, ეპიზოოტიებით, თოვლით, გვალვით გამოწვეული ზიანის შემცირებას, კრიტიკულ სიტუაციებში პერსონალისთვის დახმარებას, ტექნოლოგიური, რადიოლოგიური, ბირთვული, ბიოლოგიური კატასტროფების ან სხვა სახის ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფების შედეგების ლიკვიდაციას“.



საგანგებო სიტუაციების გენერალური ინსპექცია ასევე პასუხისმგებელია საგანგებო ორგანიზაციების ქმედებებისა და ინსტიტუტების კოორდინაციაზე, ის ასევე წარმოადგენს საკონტაქტო პირს ამ სფეროში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. მასშტაბური საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, ინსპექციის მოვალეობებში შედის მისი წარმოშობის მიზეზების მონიტორინგი და შეფასება, მოსახლეობის ინფორმირება, გაფრთხილება და განათლება, საფრთხეში მყოფი ადამიანების ძებნა და გადარჩენა, მათი ევაკუაცია, კატასტროფების დროს დახმარების ბანაკების შექმნა და მართვა და დაუძლურებული ადამიანები გადაყვანა. ასეთ დროს ინსპექცია პასუხისმგებელია სამაშველო სამსახურის მეშვეობით გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევაზეც.

ჯანდაცვის სამინისტრო

ჯანდაცვის სამინისტრო პასუხისმგებელია სამთავრობო პროგრამის შესაბამისად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პოლიტიკისა და სამოქმედო პროგრამების შემუშავებაში, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მათ კოორდინაციასა და განხორციელებაზე. საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში სამინისტრო მონაწილეობს ამ საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული შედეგების შერბილებაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ინსტიტუტების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყოფის გზით.

მერიები და ადგილობრივი საბჭოები

მერიები, ადგილობრივი საბჭოების მეშვეობით, პასუხისმგებელი არიან ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების კოორდინაციაზე, განსაკუთრებით პრევენციის მიმართულებით, რადგან ადგილობრივ დონეზე ყველა პრევენციულ ღონისძიებას სწორედ ეს ორგანოები ახორციელებენ.



რუმინეთის წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოების რეაგირების შესაძლებლობები

რუმინეთის წითელი ჯვარი ძირითად ყურადღებას კატასტროფების შედეგების მიმართ მედევობასა და მზაობაზე და მათ პრევენციასა და მართვაზე ამახვილებს. რუმინეთის წითელი ჯვარი ასევე ამზადებს მოხალისეებსა და მოსახლეობას, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც პოტენციური საფრთხე არსებობს.

რუმინეთის წითელ ჯვარს აქვს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ეროვნული მარაგი, ტანსაცმლიდან და ფეხსაცმლიდან დაწყებული, განთავსების შესაძლებლობებით დამთავრებული. ცენტრალური საწყობში მას აქვს კატასტროფების დროს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, მათ შორის, მცირე და დიდი სიმძლავრის წყლის ტუმბოები, ელექტროენერგიის გენერატორები, განათების სისტემები, წყლის მისაღები სადგურები, კომპრესორები, პირველადი დახმარების ნაკრებები და პირველადი საჭიროების ნივთები.

კატასტროფების დროს ბანაკების მოსაწყობად რუმინეთის წითელ ჯვარს აქვს სხვადასხვა ზომის კარვები, რომელთა გამოყენება საგანგებო პატრულირების დროსაც შესაძლებელია, აგრეთვე საწოლები, საბნები, ლეიბები, საძილე ტომრები, სულ მცირე, 1500 ადამიანისთვის. კატასტროფების შედეგად დაზარალებულთა დახმარების ბანაკების სათანადო ფუნქციონირებისთვის შესაძლებელია სრულად აღჭურვილი მობილური საველე სამხარეულოების, განათების სისტემებისა და სანიტარული კვანძების მოწყობაც.

მარაგები განთავსებულია 6 რაიონულ საწყობში (ალბა-იულია, არადი, დრობეტა-ტურნუ სევერინი, იაში, ტულჩეა, ზალაუ) და ბუქარესტის ცენტრალურ საწყობში. გარდა ამისა, წითელი ჯვრის თითოეულ სამხარეო ფილიალში არის პირველადი დახმარების მასალების მინი-საწყობი, რომელიც გათვლილია, სულ მცირე, 50 ადამიანზე და გამოყენებულ უნდა იქნას ბუნებრივი კატასტროფის შემთხვევაში.





62

Tecuci

62 km

Independenta

9 km



შავი ზღვის აუზის რეგიონის მცირე თემებში სტიქიურ და ტექნოგენურ
კატასტროფებით გამოწვეულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების
შესაძლებლობების გაუმჯობესება

რუმინეთის ეროვნული წითელი ჯვრის საზოგადოება - გალაცის ფილიალი

crucearosiegalati@gmail.com

2025 წლის აპრილი

ამ მასალის შინაარსზე პასუხისმგებელია რუმინეთის წითელი ჯვრის ეროვნული
საზოგადოება – გალაცის ფილიალი.

მასალის შინაარსი, შესაძლოა, არ ასახავდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

გამოყენება ნებადართულია მხოლოდ წყაროსა და ნებისმიერი ცვლილების
მითითების შემთხვევაში.

